საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ ქ. თბილისი, აკ. წერეთლის №87 „ზ“- ში, 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (საკადასტრო კოდი: 01.13.06.004.049) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შპს „ეკო-გრუპი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, დიდუბეში, აკ. წერეთლის №87 „ზ“- ში,

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2013 წლის ივლისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ.გეოლოგი გ. ზაგაშვილი. მათ მიერ არის გამოკვლეული თიხური გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. ასევე გამოკვლეულია გრუნტის წყლის აგრესიულობა ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით, გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, საერთო სიგრძით 35.5 მეტრი. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 - ნაყარი გრუნტი
2. ფენა 2 - თიხა ძნელადპლასტიკური (რბილპლასტიკური წყლის დონის ქვემოთ)
3. ფენა 3 - კენჭნარი
4. ფენა 4 - არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა

ანგარიშში მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების (გარდა ნაყარი გრუნტისა) დახასიათება და მათი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები, რის საფუძველზეც ავტორი გამოთქვამს მოსაზრებებს ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე, რასაც ვეთანხმებით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 5.2-6.4 მ. სიღრმეზე. წყალი იჩენს სხვადასხვა ხარისხის აგრესიულობას ბეტონში გამოყენებული ცემენტის ნაირსახეობის მიხედვით.

შპს „ ეკო-გრუპი“-ს დაკვეთით შპს „ემფერორი“-მა შეასრულა საძირკვლის ხიმინჯების საბურღი სამუშაოები.

ხიმინჯის ტანის დიამეტრი იყო D-1000 მმ-იანი, 15 ცალი და D-1200 მმ-იანი 17 ცალი. ხიმინჯის არმატურის კარკასები შესრულებული იყო პროექტის მიხედვით, რომლის სიმაღლეც მერყეობდა 10.5 მ-დან 11.2 მ-ის ფარგლებში, ხიმინჯებში ჩაშვებული იყო B-25 W8 მარკის ბეტონი. ყოველი ხიმინჯის მიღება ხდებოდა კომისიის მიერ, შემდეგი შემადგენლობით;

1. შპს „ეკო-გრუპი“-ს წარმომადგენელი: დ. მეგრელიშვილი
2. შპს „ემფერორი“-ს წარმომადგენელი: ა. შავლიაშვილი
3. კონსტრუქტორი: გ. ბერიძე
4. ინჟინერ-გეოლოგი: ბ. დევდარიანი

ყოველ ხიმინჯზე შედგენილია შესაბამისი ფარული აქტი, რომლის საფუძველზეც შესრულებული სამუშაო ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ---------- 7გვ.
2. ტექნიკური დავალება ---------- 1გვ.
3. მიწერილობა ---------- 1გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ---------- 4გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 1 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ერთი სართული სარდაფით. შენობის ზომებია გეგმაში 40.029 X 15.85 მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის ბლოკებით.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები ქ. თბილისში, დიდუბეში, აკ. წერეთლის № 87 „ზ“-ში, 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს საქართველოში მომქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი / გ. ჭოხონელიძე /

CV - ჯიბონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჯიბონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კოლხეთის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
სამეცნიერო და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულე ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიე „საქართველოს ლოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გაღებული მაქვს 100-ზე მეტი სატექნიკო დასკვნა მშენებლობის დაპროექტირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
„30" ივნისის გადაწყვეტილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ-
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский яз.

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол № 18)

Цохонелидзе Гуго Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии



საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 01026010539

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1926 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ------

N° ღ 0266413

პირადი ხელმოწერა



მისამართი ------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ------

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

ტელ: 599. 50. 72. 21.

